ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 1

7 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე -კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:

ირაკლი ხმალაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეობის კანდიდატი;

ილია ელოშვილი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;

ანდრია ბასილაია _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;

ირაკლი ბენდელიანი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;

ვლადიმერ ჭიღლაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (ადმინისტრაციის უფროსი) კანდიდატი;

ვახტანგ ლომჯარია _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;

გიგა გიგაშვილი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;

გელა ჩივიაშვილი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;

ირაკლი გვილავა _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

სერგო ბირკაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

გაიოზ თალაკვაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

ნიკოლოზ ჭონქაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

გიორგი აბუთიძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

გიორგი პაპავა _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

კახაბერ გულედანი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი)კანდიდატი;

დავით კირკიტაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

ზექა მიქაუტაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

ლევან ნაროუშვილი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

ირაკლი ანდღულაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

დავით კვინიკაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

გაიოზ ვასაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

ვლადიმერ ძნელაძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

დავით უთმელიძე _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

ნიკა ელისაშვილი _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

კახა სამხარაძე _ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომას უძღვებოდა ნინო ვარდოსანიძე.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომიიის წევრების მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით უთმელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ვლადიმერ ძნელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ნიკა ელისაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

25.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

სხდომა საკრებულოს თერთმეტ კომისიასთან ერთად წარიმართა.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დედაქალაქის მთავრობის მერის პირველი მოადგილის(ვიცე-მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების კანდიდატურები განიხილეს.

საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიას განვლილი 4 წლის მანძილზე გაწეული აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისთვის და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

თბილისის ვიცე-მერობის კანდიდატმა ირაკლი ხმალაძემ შეაჯამა განვლილი ოთხი წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კანდიდატებთან ერთად გააჩნიათ უფრო მეტი შემართება, რათა კვლავ ემსახურონ დედაქალაქს დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების დასრულებისთვის, ასევე გამოვლენილი პრობლემებისა თუ ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

საკრებულოს წევრებმა შეკითხვებით მიმართეს ირაკლი ხმალაძეს, რომლებიც შეეხებოდა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, ინფრასტრუქტურულ პროგრამებს, ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამას, ქუჩების რეაბილიტაციას, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს, სატრანსპორტო პოლიტიკას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების მიტაცების საკითხს, ბიბლიოთეკების, მუზეუმების რეაბილიტაციას, მულტიფუნქციური ცენტრების შექმნას, საბავშვო ბაღების მშენებლობას, თბილისში არსებულ მეწყერულ უბნებს, ე. წ. „ელიავას“ ბაზრობისა და ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემების მოგვარებას, პარკირების საკითხებს და სხვა.

საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ასევე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრმა შალვა ოგბაიძემ რამდენიმე

შეკითხვით მიმართა ირაკლი ხმალაძეს, მათ შორის მეტრო „გოცირიძის“ სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თარიღთან დაკავშირებით. ასევე მეტრო „ვარკეთილის“ ჭერის რეაბილიტაციის და ფუნიკულიორის პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრმა კახაბერ ლაბუჩიძემ შეკითხვა დასვა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე დაინტერესდა, იგეგემება თუ არა ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების ოდენობის ზრდა.

დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს ვიცე-მერობის კანდიდატმა ირაკლი ხმალაძემ, ასევე მერის მოადგილეობის კანდიდატებმა ირაკლი ბენდელიანმა და ანდრია ბასილაიამ.

ირაკლი ხმალაძემ სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესრულებული იქნება დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტებით დაგეგმილი ვალდებულებანი და პროექტები. რაც შეეხება მეტრო „გოცირიძეს“, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება მომავალი წლის ივნის-ივლისში.

მერის მოადგილეობის კანდიდატმა ანდრია ბასილაიამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით დატოვებული იყო მძიმე მემკვიდრეობა. მომავალი საბიუჯეტო წელი დაეთმობა სხვა ღონისძიებებთან ერთად არსებული ბიბლიოთეკების რეაბილიტაციას. ასევე არსებობს დაპირება, რომ მულტიფუნქციური ცენტრები განლაგებული იყოს დედაქალაქის ათივე რაიონში. ამ ეტაპისთვის მშენებლობა მიმდინარეობს სამგორსა და დიღომში, რომლებიც დასრულებული იქნება მომავალი წლის ბოლოსთვის. რაც შეეხება სხვა ობიექტებს მიმდინარეობს შესაბამისი ფართების მოძიება.

ირაკლი ხმალაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს საინტერესო შეკითხვებისთვის.

ლევან ჟორჟოლიანის ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს წერილობით მიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ და ფრაქციის სახელით წარმოადგინა საკრებულოს წევრის მარიამ ზაქარიაშვილის კანდიდატურა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

და კულტურის კომისიის წევრად. წერილს თან ახლავს ფრაქციის სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მარიამ ზაქარიაშვილის კანდიდატურას ზემოაღნიშნულ კომისიებში გაწევრიანების შესახებ.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და კითხვა-პასუხის შემდეგ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 6 დეკემბრის N12-032134034-03 წერილით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტების (სულ 25 განკარგულების პროექტი) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

კომისიის წევრებმა ერთმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხებს.

მომხრე-ხუთი

წინააღმდეგი-არცერთი.

თავი შეიკავა-არცერთი.

გადაწყვიტეს:

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დეტალურად განიხილა მერის წერილი, მხედველობაში მიიღო კანდიდატების მიერ სხვადასხვა პოზიციებზე ყოფნის პერიოდში მიღწეული წარმატებები. კომისიის წევრების მიერ დადებითად იქნა

შეფასებული თითოეული კანდიდატის დამოკიდებულება ქალაქში განხორციელებულ და დაგეგმილ პროეტებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მხარი დაუჭირა და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე